

**დარგობრივი ტერმინოლოგიის ერთი
მივიწყებული ლექსემისათვის
(რ ე ტ ი ნ ე)**

ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამოყენებული, ბუნებრივი თუ შრომით შექმნილი პროდუქტების სახელთა შორის გვხვდება **კევიც**, ანუ **სალეჭი რეზინი**. ეს უკანასკნელი სიტყვათშეხამება აშკარა კალკი ჩანს სათანადო ინგლისური გამოთქმისა, რომელიც ქართულში შემოსულია რუსულის მეშვეობით (< жевательная резинка < chewing gum); ქარგონულმა ხმარებამ იგი ერთ სიტყვად შეკუმშა: жвачка).

კევისა და **სალეჭი რეზინის** სინონიმად ძველი ქართული ენის ლექსიკონებში დადასტურებულია **რეტინე** // **რიტინე** // **რიტინი**-ი (საბა, ნიკო ჩუბინაშვილი, დავით ჩუბინაშვილი, ილია აბულაძე).

საბას განმარტებით, კევი „ესე არს ხეთაგან გამონადენი ნოტიო რამე საცოხნელი ფისივითა“. ახლავს მითითება ნ. **მკურის-კევი**.

მკური // **მკვარი** ფიჭვის სანთელია; სანათიც. ხოლო **მკურის-კევი** „ესე არს რეტინე, მასტაკი და რაფც ხეთაგან სუნნელი გამოეწვეთების“, და იქვე – ნ. **რიტინი**.

რეტინე „ხის მანანაა, ჰველებას არგებს, ტკბილია და მწვანე“; „**რეტინე**, რომელსა ლათინურად ეწოდების **რეზინეს** (რესინეს, რესინა), რომელ არს **მკვრის კევი**, ეწოდების ყოველსა ნაწვეთსა ხეთაგან საკმეველთა სულნელთა გინა მანანათაგანსა მას, რომელსა თურქნი **გაზან(გ)ოს** უწოდებენ. მანანათაგანია“. საბასავე მითითებით, **რიტინი კულმუხია** (ამ ფორმით იცნობს აღნიშნულ სიტყვას ქეგლი, უფრო ადრე – ნიკო და დავით ჩუბინაშვილები). კევის ხე იგივეა, რაც **საქსაღაჯი** // **საღსაღაჯი**. იგი გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ რაიონებში. ამ მცენარეს ყვავილიც აქვს და ნაყოფიც. ხის დასერილი ქერქიდან გამოიყოფა ტექნიკურად მაღალი ღირსების ფისი, რომელსაც საღეჭად ხმარობენ, დიალექტებში იგი სხვა სახელითაც არის ცნო-

ბილი. მაგ., **ლუხუმა** (ფშ.), **ანდუზა** (აჭარ., ინგილ.) იყენებენ სამკურნალოდაც.

რეტინე // **რიტინე** ქართულში ბერძნულის გზით (ρετινη) არის დამკვიდრებული, „სუნნელი ხის წებოა“. ილ. აბულაძე ძველი ქართული ენის მასალებში კევის მნიშვნელობით ასახელებს **რეტინ-ი** // **რეტინე** ფორმებს. **რეტინ** ფუძე სომხურშიც არის დადასტურებული.

კევი მცენარის ერთგვარი ფისია, საღებავად ხმარობენ. ჩვენში განსაკუთრებული პატივით სარგებლობს წიწვოვან მცენარეთა (ნაძვი, ფიჭვი) ფისი. შდრ. თუშ. **ოჭი**: კევი – ხის წებო.

ფისის განმარტებისას ქეგლი იმოწმებს ი. გოგებაშვილს: „რეზინის ხე... ხარობს... ცხელ ქვეყნებში და ჩვენებური ფიჭვივითა და ნაძვივით ფისი გამოსდის“; ფისი კი „სპეციფიკური სუფის წებოვანი სითხეა“.

საბას მიხედვით, ფისი ფიჭვისა და ნაძვის ნაღობია (კევი). მისი ნაირსახეობებია: **დღვილო**, **გომფისი**, **ძივთი**... **დღვილო** ახალო ფისია. ნ. ჩუბინაშვილი დამატებით ინფორმაციასაც იძლევა: „დღვილი – ნადენი ფიჭვისა და სხვათა ხეთა, უფრორე შავი“ (შდრ. რუს. смола); **გომფისი** // **გომიზი** (ილ. აბულაძის მიხედვით **გუმიზი**) კი ხის წებოა, ძელქვისა.

საბა **კევის** შესატყვისთა შორის ასახელებს **მასტიჩე**, **მასტაკ** ფორმებს.

მასტაკ – „ესე არს თეთრი კევი საცოხნელი, ქიოს კუნძულში (საბერძნეთის კუნძული ხიოსი) ხეთა სდის“. მისი რუსული ადეკვატია **белая мастика**. ჩუბინაშვილები განასხვავებენ ფორმებს: **მასტაკი** (ბერძნ.) – თეთრი კევი, და **მასტიკი** – იატაკის საწმენდი **მასტიკა**.

კევის მნიშვნელობით იხმარება **დანამასტიკი**, საცოხნელი **მასტაკი** (мастика, растительная смола, особенно фисташковая, ритина (შდრ. **რიტინე** // **რეტინე**); **ფისტაშკა** **ფისტაა** (სპარს.), შესაბამისად, **ფისტაშკოვოე დერეво** ფისტის ხეა.

დანამასტაკი სხვანაირად **საკმელ-მძივგაა**, კევი (საბა, ნ. ჩუბინაშვილი); სიტყვა **საკმელთან** საბა მიუთითებს: „თეთრი საკმეველი“, ნ. **მარიაშაკმელა**. იგი მაყაშვილის ლექსიკონში ერთგვარი ბალახის სახელად არის შეტანილი. მისი რუსული შესატყვისია **дикая рута** (რქლ).

საკმელი, იგივე **საკმეველი** ხეთ ნალვენთი **თეთრი წებოა**, **დასაკმევი**, იგივე **გუნდრუკი**. საბას მიხედვით, **გუნდრუკი** „...არს საკმეველი სუნნელი, კვალად თეთრი საკმეველი, რომელი მოიღეს ძღვნად შობას მოგვთა“. განასხვავებენ მამალსა და დედალ საკმელს (ბერძნ. ლივანოსი).

რეტინე /რიტინე / რიტინი – კევი და სხვა სინონიმური მნიშვნელობის მქონე ნივთიერებისათვის დამახასიათებელია: სუნი (სუნნელი), ფერი – თეთრი, მომწვანო, შავი; გემო – ნედლი მასა ტკბილია ან მომწარო; ფორმით მცენარეული **სითხეა**, **ფისი**; გამოირჩევა წებოვანებით, ბლანტია, წელადი (შდრ. რეზინი), ჰაერთან შეხებისას მკვრივდება (მისი წვეთები „მძივებად“ აეკვრის ხის ტანს), აქვს სამკურნალო თვისებები: რგებს ხველებას, განსაკუთრებით წიწვოვანთა – ფიჭვის, ნაძვის... ნალვენთი. უსაფრთხოა ადამიანისათვის, იყენებენ საღებავად; ნათქვამია: კბილებს ათეთრებსო (თ. სახოკია); ასუფთავებს პირის ღრუს, სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს. „საღებვი რეზინი“ (შდრ. რეზინი – ლეკვერთხი), ე. წ. „ჟვარკა“ (რუსული ჟარგონიზმი); გამოიყენება ტექნიკაში („შავი ფისი“ – გუდრონი) და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით (მასტიკა).

რეტინე მანანაა, საკმეველია, ეკლესია იყენებს ღვთისმსახურების დროს.

ზემოჩამოთვლილ თვისებათა გამო იგი ფართო მოხმარების პროდუქტია. **რეტინე // რიტინე** დროთა განმავლობაში ქართული ენიდან განდევნა **რეზინ** ფუძემ, თუმც მისი კვალი, ვფიქრობთ, მთლად არ წაშლილა. ქართული ენის დასავლურ კილოებში **რიტინ** ფუძე ჯერ კიდევ ცოცხალია.

ვ. ბერიძე სიტყვა **რიტინთან** მიუთითებს: „**გამორიტინება**, გამოსულელება, გამოთაყვანება, გამონიჭება; **გამორიტინებული** – სულელი, ჩერჩეტი“.

საყურადღებოა ქეგლის ჩვენებაც: **ჩრიტინი**, კუთხ. (ლეჩხ.) – „უთავბოლო ლაპარაკი“ (მითითებულია „დიალექტოლოგია“).

აღ. ღლონტი ვ. ბერიძეზე დაყრდნობით აღნიშნავს: **რიტინი** იმერულია. ამ ფუძესთან აღ. ღლონტი მიუთითებს **ჩრიტინსაც**, რომელსაც უწერს დიალექტურ წარმომავლობას: ზ. იმერ., ლეჩხ.).

ქართულში არსებობს გამოთქმა „კვესა ლეჭავს“, რაც ხატოვ-ნად ნიშნავს: „გათავებას არ აპირებს, ერთს რასმე მომაბეზრებ-ლად იმეორებს“ (ქეგლ).

ამავე მეტაფორული მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ზმნა **იგონება**.

საანალიზო გამოთქმასთან დაკავშირებით ვრცელ ინფორმა-ციას იძლევა თ. სახოკია: „როცა კაცს კვეი პირში უდევს და ლე-ჭავს და ამავე დროს ლაპარაკს მოინდომებს, მისი ლაპარაკი გამოდის ნელი, გაჭირვებული, გაუბედავი, ზღაზნია“, ე. ი. გაწე-ლილი, რაც მეტად უსიამოვნოა მოსასმენად. დიალექტური გამო-თქმა „რას რიტინებს“ სწორედ ამგვარი მოლაპარაკის მიმართ ითქმის.

რინტინი დადასტურებულია მეგრულშიც (ო. ქაჯაია) და ნიშნავს ცეტობას, ცერცეტობას, თავქარიანობას. **რინტუ**, **რენტე** ითქმის მოშტერო, უგუნურ, რეტიანზე (გადატანით: თხა), **რენ-ტუა** კი წინდაუხედავი და დაუფიქრებელი თქმაა. ასე რომ, ფუ-ძე **რეტინე** / **რიტინი** ქართული ენის დასავლურ კილოებსა და მეგრულშიც ცნობილია. **რეტინე** – კვეის სხვადასხვა თვისებას შორის მნიშვნელოვანია **წევადობა** (წელადობა), რაც ადამიანის მეტყველებისათვის არსებითი ნიშანია, განმსაზღვრელია. **რიტინ** ფუძეც ამ მნიშვნელობით შემოინახა ქართულმა.

როგორც ვხედავთ, ბერძნული **რეტინე** (ρετινη) და ლათი-ნური **რეზინა** (რესინა) დროთა განმავლობაში თავდაპირველ მნიშვნელობას საჭიროებისამებრ იცვლიან.

ვფიქრობთ, არ იქნებოდა ურიგო, რუსული „ჟვაცკას“, ანდა „სალეჭი რეზინის“ ნაცვლად **კვეის** პარალელურად სიტყვა **რეტი-ნეც** გაგვეცოცხლებინა.

ლექსიკოგრაფიული წყაროები

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექ-სიკონი (მასალები), თბილისი.

ბერიძე 1912 – ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რა-ჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი.

დიალექტოლოგია 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი.

მაყაშვილი 1991 – ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

რქლ 1959 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

საბა 1991-1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I-II, თბილისი.

სახოკია 1979 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი, თბილისი.

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

ქეგლ 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, I-VIII, თბილისი.

ღლონტი 1974-1975 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I-II, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1984 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1973 – ნ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

Дворецкий 1958 – Дворецкий И.Х., Древнегреческо-русский словарь, Москва.

Ожегов 1983 – Ожегов С.И., Словарь русского языка, Москва.